

სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში

შემაჯამებელი დასკვნა

ევროპის კომისია

დასაქმების, სოციალურ საქმეთა და ინკლუზიის მთავარი დირექტორატი

დოკუმენტი დასრულდა 2011 წელს



European Commission

არც ევროპის კომისიას და არც რომელიმე ადამიანს, რომელიც მოქმედებს ევროპის კომისიის სახელით, არ შეუძლია იტვირთოს პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ იყენებს იმ ინფორმაციას, რომელსაც ეს დოკუმენტი შეიცავს.

კონტრაქტორი: „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი“ (ISSA)

ვებგვერდი: www.issa-georgia.com

ავტორები:

აკაკი დანელია

იაგო კაჭკაჭიშვილი

ვახტანგ მეგრელიშვილი

მამუკა ნადარეიშვილი

ანა ქათამიძე

© ევროკავშირი, 2011

რეპროდუცირება შესაძლებელია წყაროს მითითებით

შემაჯამებელი დასკვნა

ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს დემოგრაფიული, ეკონომიკური, განათლების, სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სექტორების განვითარების ტენდენციები. გაანალიზებულია მოსახლეობის სიღარიბის და კონკრეტული სოციალური ჯგუფების საერთო ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესისაგან გარიყვის მიზეზები და რისკები. ანგარიშში წარმოდგენილია არსებული სოციალური დაცვის სისტემის შესახებ განახლებული და რელევანტური ინფორმაცია, შედარებითი ანალიზი.

დაგეგმარებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას საქართველოში თან ახლდა სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, რის გამოც ქვეყნის განვითარების პროცესი არაპროგნოზირებადი გახდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლიტიკურმა უწყესრიგობამ, ეთნიკურმა კონფლიქტებმა და უპასუხისმგებლო მმართველობამ ქვეყანაში ქაოსი და ანარქია გამოიწვია.

სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ეკონომიკის აღდგენა და სოციალური დაცვის სისტემების დანერგვა ძალიან დაბალი დონიდან დაიწყო და, სწრაფი პროგრესის მიუხედავად, ვერ მიაღწია კრიზისამდე არსებულ დონეს. ამ ფაქტორით აიხსნება საქართველოს მთავრობის ხისტი და პრიორიტეტებზე ორიენტირებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, რომელიც ძირითადად მიმართულია ყველაზე მტკივნეულ – სიღარიბის – პრობლემებზე. დღესდღეობით, საქართველოს მთავრობის პოლიტიკაა ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნით სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, რაც შეამცირებს სიღარიბეს, ხოლო ფულად რესურსებს გადაუნაწილებს იმ ჯგუფებს, რომელთაც არ შეუძლიათ ისარგებლონ მზარდი ეკონომიკური შესაძლებლობებით. ეს სტრატეგია ერთმნიშვნელოვნად წარმატებულად არ არის დანერგილი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ყველა სფეროში, თუმცა, ამ მიმართულებით სვლა საგრძნობია.

მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური სისტემის ცვლილება, როგორც ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, საქართველოშიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1991 წელს დაიწყო. თუმცა, განსხვავებით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობისაგან, საქართველოში გარდამავალი პერიოდი გართულდა ტერიტორიული კონფლიქტებისა და ქვეყანაში 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები არამყარია, ყველა მტკიცებულება მიუთითებს იმაზე, რომ 1989 წლის შემდეგ საქართველოში კატასტროფულად შემცირდა ინდუსტრიული წარმოება, რეალური შემოსავლები, მოხმარება, კაპიტალდაბანდებები და ფაქტიურად ყველა ეკონომიკური ინდიკატორი. 1990-1994 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 71 პროცენტით შემცირდა. 1994 წლიდან ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის შემდეგ, საქართველოში დაიწყო ნელი ეკონომიკური აღმავლობის

ეტაპი. 1995-2003 წლების ეკონომიკური გამოცოცხლების პერიოდში საქართველომ ვერ შეძლო მიეღწია ეკონომიკის ზრდის მაღალი და სტაბილური მაჩვენებლებისათვის. ეკონომიკური ზრდა ხშირად დამოკიდებული იყო ერთეულ მსხვილ საინვესტიციო პროექტებზე. ამის შედეგად ბევრი ადამიანი გადავიდა დაბალ პროდუქტიულ სასოფლო-სამეურნეო და არაფორმალურ სექტორში. სახელისუფლო ინსტიტუტები ძალიან დასუსტდა, კორუფციის დონემ პიკს მიაღწია და ფრაგმენტული რეფორმების გატარება არ იძლეოდა მდგრად შედეგს. 2004 წლიდან მთავრობის რადიკალურმა ლიბერალურმა რეფორმებმა განაპირობა საქართველოს უახლეს ისტორიაში უპრეცედენტო ეკონომიკური აღმავლობა.

2005-2006 წლებში საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზარალდა რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად. რუსეთმა მკვეთრად გაზარდა საქართველოსთვის მოწოდებული გაზის საფასური და 2006 წელს ქართულ ღვინოზე, მინარეულ რწყლებსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ემბარგო დააწესა. ამ პროდუქციის ექსპორტი ძირითადად რუსეთის ბაზარზე ხდებოდა. რუსეთმა ასევე შეაჩერა საქართველოსთან საჰაერო, საგზაო, საზღვაო და საფოსტო კავშირები და საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის ვიზების გაცემა შეზღუდა. ასეთი ნეგატიური ზეგავლენის მიუხედავად, 2006 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 9 პროცენტით გაიზარდა.

2008 წლის აგვისტოს ომმა და საერთაშორისო ფინანსურმა კრიზისმა, ბუნებრივია, გავლენა მოახდინა 2004-08 წლების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპზე. საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით, შედარებით უმტკივნეულოდ გადალახა გლობალური ეკონომიკური კრიზისის კრიტიკული ფაზა.

დახმარების მოცულობა 2011 წელს მცირდება და მთავრობას წინაშე დგება მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა. 2010 წელს მიღწეული ეკონომიკური ზრდის ტემპის შესანარჩუნებლად საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და საგადასახადო წნეხის შემცირება. 2010 წელს დაფიქსირებული მაღალი ინფლაციის საწინააღმდეგოდ – მკაცრი მონეტარული პოლიტიკის წარმოება. მთავრობამ, ასევე, მეტი ძალისხმევა უნდა გაწიოს ადგილობრივი მეწარმეებისათვის საქმიანობის გასამარტივებლად.

მეორე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ექსპორტის სექტორის განვითარება, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამუშავებისა და მრეწველობის მიმართულებით.

2004 წლის შემდგომი რეფორმები მიზნად ისახავდა სიღარიბის შემცირებას ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების საშუალებით. სწრაფი ეკონომიკური განვითარების წინაპირობად საქართველოს მთავრობა სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევისაგან მაქსიმალურად თავისუფალ ეკონომიკურ გარემოს მიიჩნევდა. ასეთი მიდგომის პარალელურად, კორუფციის რადიკალურმა შემცირებამ, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებამ და გადასახადების განაკვეთების შემცირებამ შესაძლებლობა მისცა მთავრობას თითქმის 6-ჯერ გაეზარდა სახელმწიფო ბიუჯეტი.

მიმდინარე ეტაპზე სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მეთოდებისა და საშუალებების არჩევანი კავშირშია პოლიტიკურ ღირებულებებთან. ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტი იძულებით გადაადგილებული პირია, სტაბილური სოციალური მდგომარეობის და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, სასიცოცხლოდ აუცილებელია ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპის ხანგრძლივად შენარჩუნება. თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების პირველმა ეტაპმა ქვეყანას სწარფი ცვლილებების გატარების შესაძლებლობა მისცა.

შრომის ბაზარი

საქართველოს შრომის ბაზრის შედეგები არადადამაკმაყოფილებელია. ქალაქად უმუშევრობა მაღალია და ხანგრძლივი, ხოლო სოფლად დასაქმება დაბალპროდუქტიულია და დასაქმების 50 პროცენტზე მეტი კვლავ სოფლის მეურნეობაზე მოდის. ბევრი ადამიანი დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში, რომელიც ხშირად არსებობის ერთადერთი საშუალებაა. ამის მიუხედავად, დამსაქმებლები ხშირად ჩივიან, რომ რთულია საჭირო უნარ-ჩვევების მქონე კადრების მოძებნა და არ შეუძლიათ დასაქმების დონის გაზრდა. დამსაქმებლებისათვის “უნარების შეუსაბამობა” არის მთავარი პრობლემა, რაც კომპანიების ფუნქციონირებასა და ზრდას ხელს უშლის. სტრუქტურული შეუსაბამობა და, განსაკუთრებით, უნარების შეუსაბამობა საქართველოში მიმდინარე საწარმოთა რესტრუქტურიზაციის და სამუშაო ადგილების რელოკაციის პროცესის თანმდევი, რომელიც საქართველოში ახლა მიმდინარეობს.

ზემოთ თქმულის მიუხედავად, საქართველოს შრომის ბაზარს სწრაფი ადაპტაციის შესაძლებლობა აქვს. სამსახურის დაკარგვის მაჩვენებელი მაღალია, თუმცა, ასევე მაღალია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მაჩვენებელი. ეს მიუთითებს საწარმოთა ინტენსიურ რესტრუქტურიზაციაზე და სამუშაო ადგილებისა და სამუშაო ძალის რელოკაციაზე. ახლად შექმნილი სამუშაო ადგილები უფრო პროდუქტიულია, ვიდრე ძველი სამუშაო ადგილები, რომლებიც უჩინარდება, რამდენადაც საწარმოთა რესტრუქტურიზაცია პროდუქტიულობის ზრდას იწვევს და ქართულ კომპანიებს უფრო კონკურენტუნარიანს ხდის.

2010 წელს ექსპორტმა უმაღლეს მაჩვენებელს მიაღწია და შეადგინა 1583.4 მილიონი აშშ დოლარი (1, 176.4 ევრო). 2005 წელთან შედარებით საქართველოში ექსპორტის მაჩვენებელი 80 პროცენტზე მეტითაა გაზრდილი.

საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნისა და უმუშევრობის შემცირების მიზნით, სახელმწიფომ აქცენტი ორივე მხარეზე – მოთხოვნასა და მიწოდებაზე უნდა გააკეთოს. მოთხოვნის მხარეს საჭიროა ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება და თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. ეს მოითხოვს საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების გაძლიერებას (საკუთრების უფლების უსაფრთხოება, ხელშეკრულების პირობების დაცვისა და კონკურენციის ხელშეწყობა) და არაპროგნოზირებადი და არასტაბილური პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმას. მიწოდების თვალსაზრისით, საქართველოს სჭირდება განათლებისა და გადამზადების (ტრენინგების) სისტემის რეფორმირება, რათა გაძლიერდეს ქვეყნის

შესაძლებლობები, უპასუხოს სწრაფად ცვალებადი საბაზრო ეკონომიკის საჭიროებებს. ეს პროცესი გულისხმობს განათლების ხელმისაწვდომობის, მისი ხარისხისა და შინაარსის გაუმჯობესებას.

2006 წელს მიღებულმა ახალმა შრომის კოდექსმა წერტილი დაუსვა რთულ რეგულაციებს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებზე დაყრდნობით მოახდინა შრომის ბაზრის დრამატული ლიბერალიზაცია. შეზღუდვები შრომითი ხელშეკრულებების ხანგრძლივობასთან და ზეგანაკვეთურ სამუშაოსთან დაკავშირებით პრაქტიკულად გაუქმდა და იქცა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შეთანხმების საგნად. ამასთან, სამუშაო ურთიერთობის შეწყვეტის რთული და ხანგრძლივი პროცედურები გამარტივდა, რომლის მიხედვითაც კანონი მოითხოვს მინიმუმ ერთი თვის ანაზღაურების კომპენსაციის სახით გაცემას. არ არსებობს მინიმალური ანაზღაურების შესახებ კანონმდებლობა. ინდივიდუალური და კოლექტიური კონტრაქტი განხილულია თანაბარი მნიშვნელობის მქონედ და კოლექტიური მოლაპარაკების უფლება მიეცა ყველა ჯგუფს, რომელიც შედგება ორი ან მეტი ინდივიდისაგან (და არა მხოლოდ ფორმალურად შექმნილ პროფესიულ კავშირებს). ამ ცვლილებების შედეგად, 2008 წელს მსოფლიო ბანკმა საქართველოს მეხუთე ადგილი მიანიჭა მუშახელის დაქირავების სიმარტივის მიხედვით.

ეკონომიკის ლიბერალიზაციის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს მოზიდვის, სამსახურში მიღებისა და დათხოვნის ბარიერების მოშლის, სამუშაო ადგილების ეკონომიკის უფრო ეფექტურ სფეროში რელოკაციის მიუხედავად, საერთო ფორმალური დასაქმება კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ადამიანთა დიდი რაოდენობა, სხვადასხვა მიზეზის გამო (დაბალი დონის უნარ-ჩვევები, ინფორმირებულობის დაბალი დონე, ასაკობრივი დისკრიმინაცია და სხვ.), კვლავ გარიყულია ორგანიზებული შრომის ბაზრიდან, რაც სიღარიბის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზია. არნახულად გაიზარდა დასაქმების არაფორმალური სექტორი (კერძოდ, თვითდასაქმება, განსაკუთრებით, სოფლად), საიდანაც შემოსავალი იქცა რეგულარული, ხელფასზე დაფუძნებული დასაქმების ძირითად ალტერნატივად. არაფორმალური დასაქმება არასტაბილურია, ძირითადად მოიცავს გადარჩენაზე ორიენტირებულ აქტივობებს და ხასიათდება დაბალი პროდუქტულობით. დასაქმების ეს ფორმა ხელს არ უწყობს სიღარიბის დონის მნიშვნელოვან შემცირებას.

განათლება

განათლების პოლიტიკის მიზანია, შექმნას ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობები ხარისხიანი განათლების მისაღებად, რისი შემადგენელი კომპონენტია საჯარო საგანმანათლებლო სისტემის მატერიალური და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. სავალალო პირობებში მყოფი საჯარო სკოლების სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და ორგანიზებული რეაბილიტაციის პარალელურად, განათლების სისტემაში გატარდა სტრუქტურული რეფორმები. ეს რეფორმები ინიცირებული იყო 2004-05 წლებში. 2004 წელს საქართველოს უმაღლესი განათლების რადიკალურმა რეფორმებმა გამოიწვია მთელი რიგი სამართლებრივი ინიციატივები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განაპირობა ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან დაახლოება (ბოლონის პროცესი). 2004 წლის დეკემბერში მიღებული უმაღლესი

განათლების შესახებ კანონი და 2005 წლის აპრილში მიღებული ზოგადი განათლების შესახებ კანონი წარმოადგენს განათლების რეფორმის სამართლებრივ საფუძველს. ორივე დოკუმენტის მიზანი საქართველოს განათლების სისტემაში ევროპული სტანდარტების დანერგვაა. გარდა ამისა, ისინი დაფინანსების, მართვისა და ხარისხის კონტროლის ახალ მოდელებს გვთავაზობენ. სავარაუდოდ, ყველაზე წარმატებული რეფორმა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებისათვის საერთო ეროვნული გამოცდების შემოღება იყო, რომლის მიზანს მისაღები გამოცდების დროს ფართოდ გავრცელებული კორუფციის შემცირება წარმოადგენდა. ამ რეფორმამ კორუფციის უმნიშვნელოვანესი შემცირება პირველსავე წელს გამოიწვია.

საჯარო სკოლების ავტონომიისაკენ მიმართული ნაბიჯი იყო ყოველდღიური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების უფლების დელეგირება საშუალო სკოლების სამეთვალყურეო საბჭოებისათვის, რომლებიც შეიქმნა ყველა საჯარო სკოლაში. ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რამაც განათლების სისტემაში მოტივაციების სისტემის ფუნდამენტური ცვლილება გამოიწვია, იყო სკოლების სახელმწიფო დაფინანსების მოდელის ცვლილება. სახელმწიფო სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების პირდაპირი დაფინანსების ნაცვლად, ყველა მოსწავლემ მიიღო ვაუჩერი. ვაუჩერულმა დაფინანსებამ მშობლებს შესაძლებლობა მისცა, გაეკეთებინათ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თავისუფალი არჩევანი. შედეგად, დღეს ბავშვების დაახლოებით 8 პროცენტი კერძო სკოლებში სწავლობს, მაშინ როდესაც 2005 წლისთვის ეს მაჩვენებელი თითქმის ნულის ტოლი იყო. 2010 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აამუშავა მასწავლებელთა აკრედიტაციის პროგრამა, რომელმაც უახლოეს წლებში ხელი უნდა შეუწყოს სწავლების სტანდარტების გაუმჯობესებასა და მასწავლებლების შეფასებას.

საქართველოში შედარებით მაღალია საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის მაჩვენებლები, თუმცა, უკანასკნელ წლებში შეინიშნება ჩარიცხვის შემცირება, ძირითადად სოფლის დასახლებებში, უმცირესობათა ჯგუფებსა და ღარიბ ოჯახებში. 1993 წლიდან 2007 წლამდე არასრულ საშუალო სკოლებში ჩარიცხვის მაჩვენებელი 77 პროცენტიდან 71 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო სრული საშუალო განათლების მიღება კი 54 პროცენტმა გააგრძელა. 7-15 ასაკობრივ ჯგუფში სკოლაში ჩარიცხვის მაჩვენებელი მდიდრებსა და ღარიბებში მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. 18 წლიდან კი სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის მაჩვენებელი ყველაზე მდიდარი კვინტილიდან ორჯერ აღემატება უღარიბეს კვინტილში არსებულ მაჩვენებლებს. სკოლის დასრულების მაჩვენებელი ეთნიკურ უმცირესობებში (განსაკუთრებით ეთნიკურ აზერბაიჯანელებში) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ეთნიკურად ქართველთა მაჩვენებლებს.

მიგრაცია და ფულადი გზავნილები

90-იან წლებში, ეკონომიკური კრიზისის ფონზე, საქართველოდან მასიური მიგრაცია დაიწყო, თავდაპირველად რუსეთის, ხოლო მოგვიანებით ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართულებით. მიგრაციის მთავარი მიზეზი, სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც ეკონომიკური იყო. მიგრანტების ეკონომიკური დახმარება მათი ოჯახებისათვის ხშირად გადაამწყვეტია,

ამიტომაც ფულადი გზავნილები ითვლება სიღარიბის საწინააღმდეგო ერთ-ერთ მექანიზმად.

თუმცა, ეკონომიკური მდგომარეობის თანდათანობით გაუმჯობესებასთან ერთად, ოჯახის მთლიან ბიუჯეტში ფულადი გზავნილების წილი შედარებით იკლებს. თუკი 2003 წელს ფულადი გზავნილების წილი შინამეურნეობის ფულად შემოსავალში 8 პროცენტს შეადგენდა, 2007 წლისათვის მისი წილი 3.6 პროცენტამდე შემცირდა.

საქართველოდან მიგრანტების საერთო რაოდენობა დაახლოებით ერთი მილიონია, და მთლიანი მოსახლეობის 22.9 პროცენტს შეადგენს. ქალაქური ტიპის დასახლებებიდან ემიგრანტების ნაკადი ძირითადად დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატებისკენაა მიმართული, ხოლო სოფლის დასახლებებიდან კი, ძირითადად, რუსეთის ფედერაციისაკენ.

დემოგრაფიული ტენდენციები

საქართველოში დემოგრაფიული სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ეკონომიკური მიგრაციის მიზეზით ბოლო 20 წლის განმავლობაში დაახლოებით ერთმა მილიონმა საქართველოს მოქალაქემ დატოვა ქვეყანა. 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა 4 371 500 ადამიანს შეადგენდა (საქართველოსგან დე-ფაქტო გამოყოფილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების მცხოვრებთა გარდა). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზით, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა თითქმის ერთი მილიონით შემცირდება. 2001-08 წლებში საქართველოს მოსახლეობის შემდგენლობის 18 პროცენტს 60 წელს გადაცილებული მოსახლეობა შეადგენდა. ეკონომიკური მიგრაციის გავლენით დედაქალაქის მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, რამდენადაც სოფლებიდან ხდება მოსახლეობის შემოდინება. 2008 წელს თბილისში მთელი მოსახლეობის მეოთხედი, 1 136 000 ადამიანი ცხოვრობდა.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობაც. 1979 წელს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წილი 68.8 პროცენტს შეადგენდა, რომელიც 2002 წლამდე 83.8 პროცენტამდე გაიზარდა. ქართველების შემდეგ ეთნიკური აზერბაიჯანელები მეორე დიდი ეთნიკური ჯგუფია (6.5 პროცენტი), რომელსაც მოსდევს ეთნიკური სომხები (5.7 პროცენტი). ეთნიკური სომხების წილი 1989 წლიდან, როდესაც მათი რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის 8.1 პროცენტს შეადგენდა, 2002 წლისთვის 5.7 პროცენტამდე შემცირდა. ეთნიკურ აზერბაიჯანელებს და სომხებს მოსდევს ეთნიკური რუსები (1.5 პროცენტი), ეთნიკური ოსები (0.9 პროცენტი) და სხვა ეთნიკური უმცირესობები.

სოციალური დახმარება

საქართველოს სოციალური დაცვის პოლიტიკა ეფუძნება მისამართულ დახმარებას. სოციალური პოლიტიკის მთავარ პრინციპად რჩება სახელმწიფოს მიერ რესურსების მიწოდება შეფასების სისტემის მიერ გამოვლენილი ყველაზე გაჭირვებული ადამიანებისათვის. ამავ დროს, სახელმწიფოს ამოცანაა გააუმჯობესოს

მისამართულობა და ამისათვის გამოიყენოს მრავალფეროვანი საშუალებები. ფულადი დახმარება და სამედიცინო დაზღვევის სქემის განვითარება არის საფუძველი, რომელსაც სოციალური ინტეგრაცია, სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა ეყრდნობა.

საზოგადოების ყველაზე ღარიბი ფენებისაკენ სოციალური დახმარების მიმართვისათვის შეიქმნა მოწყვლადი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა. მონაცემთა ერთიანი ბაზა შეიცავს ინფორმაციას ღარიბ ოჯახებზე, რომლებმაც სახელმწიფოსაგან სოციალური დახმარება მოითხოვეს. თითოეულ ოჯახს მინიჭებული აქვს შეფასების ქულა, რომელიც ამ ოჯახის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას ასახავს. მონაცემთა ერთიანი ბაზა საშუალებას იძლევა დახმარება მიიღაროს სპეციფიკური მიზნობრივი ჯგუფისაკენ. მონაცემთა ცენტრალიზება სიტუაციის ზოგადი სურათის დანახვის საუკეთესო საშუალებაა. ის ინფორმაციის შეგროვებისა და ადმინისტრირების ხარჯებს ამცირებს და ზრდის სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების რეალიზაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ცენტრალური ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული ფართომასშტაბიანი პროგრამების გარდა, რეგიონებისა და ავტონომიური ერთეულების ადგილობრივი თვითმართველობები ახორციელებენ მცირემასშტაბიან სოციალურ პროგრამებს.

საქართველოში სოციალური დახმარების პოლიტიკა მიმართულია უკიდურესი სიღარიბისაგან გამოწვეული შოკისაგან მოსახლეობის დაცვაზე. იმის გათვალისწინებით, რომ საარსებო მინიმუმთან მიმართებაში დათვლილი სიღარიბის დონე (მეთოდოლოგიური პრობლემების გამო) ვერ ავლენს მოსახლეობის უღარიბეს ფენას, ექსპერტების აზრით, დღეში 2.5 აშშ დოლართან მიმართებაში განსაზღვრული სიღარიბის ზღვარი ზუსტად წარმოაჩენს საქართველოს მოსახლეობის უღარიბესი ოჯახების წილს. 2007-09 წლებში დღეში 2.5 აშშ დოლართან მიმართებაში განსაზღვრულმა სიღარიბის დონემ საქართველოში მოიკლო, რაც ექსპერტებს საშუალებას აძლევს, უკიდურესი სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით, სოციალური დახმარების პროგრამა შეაფასონ როგორც მაღალი მისამართულობის მაჩვენებლით გამორჩეული. თუმცა, დახმარების ეფექტი არ არის ადეკვატურად შეფასებული, რის გამოც ამ დახმარების გავლენა შეზღუდულია – ბენეფიციარი ოჯახების გარკვეულ ნაწილს სიღარიბიდან ამოსვლა უჭირს, ხოლო ბევრი ოჯახი საერთოდ დახმარების გარეშე რჩება. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა უმწეოთა გამოვლენის მეთოდოლოგიის კიდევ უფრო დახვეწა, ისევე როგორც საჭიროებაზე დაფუძნებული ბენეფიტების ზრდა.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალური დახმარების სიდიდემ არ უნდა გამოიწვიოს შრომისუნარიანი ადამიანების დემოტივირება და პასიურ მდგომარეობაში დარჩენის სტიმულირება. სოციალური ბენეფიტები არ უნდა იყოს დასაქმებით მიღებული პოტენციური შემოსავლის ტოლი ან მასზე მეტი, რაც დაწვედა შრომითი საქმიანობის მოტივაციას.

ასაკოვანი ადამიანების მიმართ საქართველოს პოლიტიკა ეფუძნება უნივერსალური სოციალური დახმარების სქემას. ქვეყანაში არ იგეგმება სავალდებულო შენატანებზე

დაფუძნებული და საჯარო სექტორის მიერ ადმინისტრირებული საპენსიო სისტემის შემოღება. დაინტერესებულ წრეებში მიმდინარეობს დისკუსია სუბსიდირებული კერძო საპენსიო სისტემის ჩამოყალიბების შესახებ. განიხილება შესაძლებლობა საშემოსავლო გადასახადის ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტის ნაცვლად მიიმართოს კერძო ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე, იმის პარალელურად, რომ შემცირდეს არსებული საშემოსავლო გადასახადის (20 პროცენტი, რომელშიც შედის ყოფილი სოციალური გადასახადი) ოდენობა. იდეის მომხრეთა აზრით, ასეთი მიდგომა სახელმწიფოს გაათავისუფლებს ხანდაზმულებზე პენსიის გაცემის ვალდებულებისაგან.

უკანასკნელ წლებში სოციალურად გარიყული ჯგუფების (ეროვნული უმცირესობები, ეკო-მიგრანტები, იძულებით გადაადგილებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ქუჩის ბავშვები, მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვები) მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. საქართველოსათვის იძულებით გადაადგილებული პირები კვლავ ყველაზე მნიშვნელოვან მოწყვლად ჯგუფად რჩება. მათთვის საწყის ეტაპზე მიცემული დროებითი საცხოვრებელი ადგილების პრივატიზაციის პროცესი რამოდენიმე წლის წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება. ზოგიერთ შემთხვევაში, იძულებით გადაადგილებულ პირებს პრივატიზაციის უფლების ნაცვლად სახელმწიფო ფულად კომპენსაციას სთავაზობს. ამ ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყენებული იყო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერაც.

ზოგიერთი ფართომასშტაბიანი პროგრამა მიმართულია სხვა მოწყვლად ჯგუფებზე. ასეთია ბავშვების მიტოვების პრევენციის, მზუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებიდან ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციის, დღის ცენტრების შექმნის, მარტოხელა დედებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტირების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სარეაბილიტაციო და დამხმარე მოწყობილობების მიწოდების და სხვა პროგრამები. უფრო კონკრეტულად, ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის განხორციელების შემდეგ ინსტიტუციებში ბავშვთა რაოდენობა ათჯერ შემცირდა. ბავშვთა უმეტესობა თავის ბიოლოგიურ ოჯახებს დაუბრუნდა; სახელმწიფო ფონდები გამოყოფილია მშვილგებელი ოჯახების დასაფინანსებლადაც. შშმ სტატუსის მინიჭების წესები შეიცვალა და მათი მინიჭება ხდება სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებების მიერ. ამასთან, გაუქმდა ფულადი დახმარება შრომისუნარიანი შშმ პირებისათვის.

ცხადია, რომ სოციალური დახმარების პოლიტიკა ყოველთვის პოლიტიკათა უფრო ფართო ქსელის ნაწილია, რაც გულისხმობს მდგრადი დასაქმების, საცხოვრებელი პირობების, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობას, რომელთა მიზანია სიღარიბის ზრდის და მოწყვლადობის რისკის შემცირება. მხოლოდ ასეთმა კომპლექსურმა აქტივობებმა შეიძლება გაანეიტრალოს ის რისკები, რაც სოციალური დახმარების მისამართულად განაწილებას ახლავს: სოციალური სოლიდარობის შემცირება, ადმინისტრაციული სირთულეები, ფინანსური დანახარჯები და ა.შ.

სიღარიბე და სოციალური გარიყულობა

საქართველოს მოსახლეობაში სიღარიბის დინამიკა ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე იცვლებოდა. თუმცა, სიღარიბის გაზომვა და ცვლილებების მონიტორინგი რთულია, ამ პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური და მეთოდოლოგიური საკითხების გამო. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სხვა ორგანიზაციები, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო მონეტარული ფონდი, გაეროს ბავშვთა ფონდი და ა.შ. სიღარიბის გამოთვლის სხვადასხვა მეთოდს გამოიყენებენ.

სიღარიბის გასაზომად გამოყენებული მეთოდოლოგიების უმრავლესობა უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში სიღარიბის 3-4 პროცენტით კლებაზე მიუთითებს. 2009 წელს სხვადასხვა მეთოდოლოგიის მიხედვით გაზომილი სიღარიბე (მატერიალური დეპრივაციის ჩათვლით) 13-23 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან მიმართებაში დათვლილი სიღარიბის ინდიკატორები სხვა მეთოდოლოგიებით დათვლილი სიღარიბის მონაცემებისაგან რადიკალურად განსხვავდება (ეს მეთოდოლოგიებია: სიღარიბის დონე მედიანური მოხმარების 60 და 40 პროცენტის მიმართ, აბსოლუტური სიღარიბის ინდიკატორი დღეში 2.5 აშშ დოლართან მიმართებაში, სიღარიბის დონე გამოთვლილი ცხოვრების სტანდარტის გაზომვის კვლევიდან (LSMS) და ა.შ.). 2005 წელს სიღარიბის დონე ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან მიმართებაში 41.4 პროცენტს შეადგენდა. 2007 წელს სიღარიბის დონემ 5 პროცენტით მოიმატა, მომდევნო პერიოდში კი კვლავ დაიკლო და 2009 წელს 41.2 პროცენტი გახდა. საარსებო მინიმუმთან მიმართებაში სიღარიბის დონის აუხსნელი დინამიკა, სიღარიბის დაუსაბუთებლად მაღალი მაჩვენებელი, შინამეურნეობების დანახარჯებისა და საარსებო მინიმუმის გამოთვლის მეთოდოლოგიური გაუმართაობა მთავარი მიზეზებია იმისა, რომ ექსპერტთა უმრავლესობა ამ მონაცემებს არ იზიარებს და უკანასკნელ წლებში საქართველოში სიღარიბის დონის შემცირებაზე მიუთითებს.

სოციალური დაცვის სისტემის მთავარი ამოცანაა შშმ პირთა და ქრონიკულ სიღარიბეში მყოფთა დახმარება სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. სოციალური დაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს სიღარიბის მკვეთრი შემცირება უკიდურესად ღარიბთა შორის და ამ ჯგუფის მინიმალური საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფა, აგრეთვე, სიღარიბის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორის – კატასტროფული სამედიცინო ხარჯების გამო გაღარიბებისაგან დაცვა. ბოლო წლების ეკონომიკურმა ზრდამ დადებითი გავლენა მოახდინა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სიღარიბის რისკის შემცირებაში. 2005 წლის შემდეგ საქართველოში სიღარიბის დონე შემცირდა, ამის პარალელურად შემცირდა სიღარიბის სიღრმე და სიმწვავე. ამის მიზეზი იყო ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაუმჯობესება, მიზნობრივი სახელმწიფო დახმარებების დანიშვნა, სახელმწიფო პენსიებისა და ხელფასების ზრდა. (თუმცა, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, მეთოდოლოგიური პრობლემების გამო, ეს ტენდენცია არ აისახა საარსებო მინიმუმთან მიმართებაში დათვლილ სიღარიბის მაჩვენებლებზე. ამის საპირისპიროდ, ეს ტენდენცია აისახა 2.5 აშშ დოლართან მიმართებაში დათვლილ სიღარიბის დონეზე.).

საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ საზოგადოებაში, არსებობენ ჯგუფები, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, მოსახლეობის ძირითადი ნაწილისაგან

განსხვავებით, თანაბრად ვერ სარგებლობენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სიკეთეებით. სოციალური გარიყულობა მრავაგანზომილებიანია, მას შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განზომილებები. წარმოდგენილ ანგარიშში გაანალიზებულია ის შემთხვევა, როდესაც სოციალური გარიყულობა და სიღარიბე ურთიერთგანმაპირობებელი ფაქტორებია. ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია სოციალური ინფრასტრუქტურის (ჯანდაცვა, განათლება და კულტურული ინსტიტუტები) მიმართ ხელმისაწვდომობის მზარდი უთანასწორობა, რომელიც აისახა მოქალაქეებს შორის სოციალური სტატუსის უთანასწორობასა და ძირითადი მომსახურებებით სარგებლობის შეუძლებლობაზე ღარიბი მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის

სოციალური გარიყულობა ერთდროულად სიღარიბის შედეგად შეიძლება იყოს და მისი გამომწვევიც. ერთი მხრივ, გარიყულობის წყარო შეიძლება აღმოჩნდეს სიღარიბის რისკ-ჯგუფებისადმი კუთვნილება (ასეა, მაგალითად, შშმ პირების, იძულებით გადაადგილებული პირების, ეკომიგრანტების ან ქუჩის ბავშვების შემთხვევაში). თუმცა, მეორე მხრივ, ეთნიკური და სხვა უმცირესობების ჯგუფის წევრობა ზრდის მარგინალიზაციის და, შესაბამისად, სიღარიბის რისკს. ამ შემთხვევაში გარიყულობა გამოწვეულია არა ეკონომიკური დეპრივაციით, არამედ სხვა ფაქტორებით. ამ ფაქტორებს შორის გამოირჩევა კულტურულ მენისტრიმთან არაადაპტაციურობა (მაგ., სახელმწიფო ენის არცოდნა, სუბკულტურულ ღირებულებებში ჩაკეცვა), ისევე როგორც ამ მენისტრიმის ავტორიტარული ბუნება (კულტურული ალტერნატივების მიუღებლობა). სოციალურ გარიყულობას, მისი ეკონომიკური თუ კულტურული განზომილების მიუხედავად, მძიმე ფონი ახლავს: ინდივიდი წყვეტს აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, გაუცხოვდება და კარგავს მოქალაქედ ყოფნის განცდას.

მარგინალური ჯგუფების სოციალური ჩართულობა კვლავ რჩება ქვეყნის ერთ-ერთ გადაუჭრელ საკითხად. ამ პრობლემით დაკავებულია სხვადასხვა დაინტერესებული ინსტიტუციური აქტორები. აღსანიშნავია პრობლემის გადაწყვეტისაკენ მიმართული აქტივობების ფრაგმენტულობა, რაც გამოწვეულია ხელმისაწვდომი ფინანსური, ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების სიმწირით. შესაბამისად, ამ ეტაპზე ხელშესახები შედეგების მიღწევა რთულია.

ქვეყანაში არსებული გარიყული ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა აქტივობის განხორციელება: ა) უმუშევრობასთან ბრძოლა და არაკვალიფიციური დასაქმების წილის შემცირება; ბ) ეროვნული უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის შემსწავლელი ლიბერალური პოლიტიკის გატარება, ხოლო რიგ (მაგ., ბოშების) შემთხვევებში მათი ლეგალიზაცია; გ) ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაცია, ინსტიტუციებში მყოფი ბავშვების რეინტეგრაცია და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა; დ) დევნილების, ისევე როგორც ქუჩის ბავშვების ინსტიტუციური ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება; ე) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა (პირველ რიგში, მათი საჭიროებების შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა) და სხვ.

მამასადაამე, ბევრი მიზეზი არსებობს იმისათვის, რომ სოციალური გარიყულობის შემცირების პოლიტიკა არ დაუკავშირდეს მხოლოდ სიღარიბის წინააღმდეგ

მიმართულ პროგრამას, არამედ იყოს გაცილებით ფართო ანტიდისკრიმინატორული პოლიტიკის ნაწილი.

პენსიები

პენსიები რეორგანიზაციის თვალსაზრისით ყველაზე ფართო სოციალური პროგრამაა, რომელიც საქართველოში ხორციელდება. მოსახლეობის დაახლოებით 19 პროცენტი იღებს ასაკობრივ, შეზღუდული შესაძლებლობებისა და მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიას. 2004 წლის შემდეგ ყველა სოციალური პროგრამა, პენსიის ჩათვლით, ფინანსდება ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან: პენსია საქართველოში არის ჩვეულებრივი სოციალური დახმარების სქემა ზოგიერთი მკაცრად განსაზღვრული კატეგორიის ადამიანებისათვის.

ყველა საპენსიო სისტემის მთავარი ფუნქციაა მოხუცებულობაში სიღარიბისაგან დაცვა და პენსიაში გასვლის შემდეგ ცხოვრების სტანდარტების შენარჩუნება, თუმცა, საეჭვოა საქართველოში პენსია რომელიმე ამ როლს ასრულებდეს. ერთი მხრივ, არ არსებობს პირდაპირი კავშირი შენატანებსა და ბენეფიტებს შორის, ამიტომ ინდივიდუალური პენიის ოდენობის დიფერენციაცია არ ხდება. მეორე მხრივ, რამდენადაც არ ხდება საჭიროებათა შეფასება, საპენსიო დანახარჯების ნახევარი მიდის ეკონომიკურად უზრუნველყოფილ მოსახლეობაზე, რის გამოც ეს სისტემა ვერ ჩაითვლება ეფექტურად სიღარიბის შემცირებისთვის.

როგორც ითქვა, ასაკოვანთა მიმართ საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ეფუძნება უნივერსალურ სოციალურ დახმარებას. 2004-09 წლებში ასაკის გამო უნივერსალური დახმარების ნომინალური ოდენობა 6-ჯერ (მუდმივ ფასებში 4-ჯერ) გაიზარდა. ეს დახმარება არ არის მისამართული, თუმცა მოხუცთა მნიშვნელოვან ნაწილს ეხმარება უკიდურესი სიღარიბის დამლევაში.

ერთი მხრივ, იმისათვის, რათა გაიზარდოს პენსიის როლი სიღარიბის შემცირებაში, რაციონალური იქნებოდა საპენსიო დანახარჯების ზრდის ტემპის შემცირება და დაზოგილი რესურსების მიზნობრივ სოციალურ დახმარებაზე მიმართვა ან საჭიროებათა შეფასების მეთოდის შემოღება და პენსიის მიღების უფლების გამკაცრება. მეორე მხრივ, სისტემის შემოსავლებით უზრუნველყოფის ფუნქცია შეიძლება გაუმჯობესდეს, თუკი გაძლიერდება შენატანებსა და ბენეფიტებს შორის კავშირი.

“ბრტყელი” (flat rate) პენსიების პარალელურად, საქართველოს მთავრობა აფინანსებს სოციალური დახმარებას, რომელიც ეფუძნება მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის იდენტიფიკაციას. სოციალური პოლიტიკის გაცხადებული პრინციპი არის სახელმწიფო რესურსების მიმართვა ყველაზე ღარიბებისათვის, რომელთა იდენტიფიცირება ხდება შეფასების სისტემის საშუალებით. ფულადი დახმარებისა და სამედიცინო დაზღვევის სქემის განვითარება ემსახურება სოციალურ დაცვასა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

ჯანმრთელობა და ხანგრძლივი ზრუნვა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. სოციალური დაცვა საქართველოში მოიცავს მთავრობის პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის დაცვაზე.

უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ჯანდაცვის სექტორის სახელმწიფო დაფინანსება ნომინალურად შვიდჯერ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ცენტრალურ დაგეგმვაზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემები და ინსტიტუციური ნაკლოვანებები გაზრდილი ხარჯების ეფექტური გამოყენების საშუალებას არ იძლევა. მთავარი დაბრკოლება მოსახლეობის ეფექტური ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფაში არის მათი საჯარო (სახელმწიფო) მფლობელობაში ყოფნა, მისთვის დამახასიათებელი ცუდი მენეჯმენტი და მოშლილი ინფრასტრუქტურით.

2007 წელს საქართველოში დაინერგა ჯანმრთელობის დაფინანსების ვაუჩერული მოდელი. ამ სქემის მიხედვით, ვაუჩერის მფლობელს უფლება ჰქონდა თავისუფალი არჩევანი გაეკეთებინა კერძო სადაზღვევო კომპანიებს შორის. ამავე პერიოდში იწყება საავადმყოფოების პრივატიზაციის პროექტი, რომლის ამოცანა იყო კერძო ინვესტიციების მოზიდვა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. თუმცა, 2008 წლის კრიზისის გამო ეს პროექტი შეფერხდა. სანაცვლოდ, მთავრობამ გადაწყვიტა ინფრასტრუქტურული განვითარება ქვეყნის რეგიონებში სადაზღვევო კომპანიებისათვის შეეთავაზებინა. კონტრაქტის თანახმად, 2012 წლისათვის ქვეყნის ყველა რეგიონში ახალი ჰოსპიტალები უნდა აშენდეს.

ახალი ვაუჩერული სისტემის ამოქმედებიდან 4 წლის მანძილზე, მისი დაფარვა მოსახლეობის საწყისი 1-2 პროცენტიდან 30 პროცენტამდე გაიზარდა. განათლების სფეროში მოქმედი დაფინანსებისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც ვაუჩერები უნივერსალურად ნაწილდება, ჯანდაცვის ვაუჩერები ძირითადად დაურიგდა მოსახლეობის ღარიბ ნაწილს, თუმცა, ამ სისტემით საშუალო და შეძლებულმა ფენამაც ისარგებლა. იმავე წლებში მკვეთრად გაიზარდა კერძო დაზღვევის ხვედრითი წილი. კომპანიებს შორის მძაფრი კონკურენციაა კერძო კორპორატიული დაზღვევის სეგმენტში.

გრძელვადიან პერსპექტივაში, მთავრობის განზრახვაა ჯანმრთელობის სერვისების უზრუნველყოფაში პასუხისმგებლობა გადაუნაწილოს კერძო სექტორს და, ამავე დროს, დააბალანსოს სერვისების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ღარიბი ნაწილის სუბსიდირებით. უღარიბესი შინამეურნეოების სამიზნედ დასახვამ მნიშვნელოვნად შეცვალა საჯარო დაფინანსების პროპორციები იმათ სასარგებლოდ, ვინც დახმარებას ყველაზე მეტად საჭიროებს (2006 წელს სახელმწიფო ჯანდაცვის ბიუჯეტის 12.3 პროცენტი დაეთმო ყველაზე ღარიბი შინამეურნეოების მომსახურებას, 2010 წელს კი ეს წილი 50 პროცენტამდე გაიზარდა). ამავე დროს, დაფინანსების მოდელის ცვლილებამ გამოიწვია ჯანდაცვის ობიექტების პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსებიდან გადასვლა მომხმარებლის მიერ დაფინანსებაზე.

სავარაუდოა, რომ კერძო საკუთრებაში და მართვაში მყოფი ახალი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის შექმნა გააუმჯობესებს საქართველოში ჯანდაცვის ხარისხს.